



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის
ზოგადი ენათმეცნიერების მიმართულება

სამაგისტრო პროგრამა

ლინგვისტიკა

ქუთაისი
2011წელი

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ლინგვისტიკა
უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: მაგისტრატურა
სწავლების ენა: ქართული.

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი
ლინგვისტიკაში, [MA Linguistics](#)

პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტი: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა

პროგრამის ხელმძღვანელი: სრული პროფ. ზაალ კიკვიძე

პროგრამის მოცულობა: 120 ECTS კრედიტი

პროგრამის კურიკულუმი სასწავლო დისციპლინათა სამ კატეგორიას მოიცავს:

1) პროგრამისთვის სავალდებულო კურსები - 80 კრედიტი

2) პროგრამის არჩევითი კურსი - 10 კრედიტი

3) სამაგისტრო ნაშრომი - 30 კრედიტი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

1. ბაკალავრის/დიპლომირებული სპეციალისტის ხარისხი ჰუმანიტარულ სპეციალობებში.

2. საერთო სამაგისტრო გამოცდისა და სპეციალობის გამოცდის ჩაბარება.

პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია, გააცნოს მაგისტრანტებს თანამედროვე ენათმეცნიერების თითქმის ყველა მიღწევა, შეასწავლოს მათ დარგის ისტორიის ყველა ღირებული მიდგომა, კვლევის სპეციალური მეთოდები, არსებული მიმდინარეობები. პროგრამის მთავარი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მაგისტრის ხარისხის მოპოვების შემდეგ კურსდამთავრებულს დამოუკიდებლად შეეძლოს საენათმეცნიერო გამოკვლევების განხორციელება და შესაბამისი დისციპლინების სწავლება სხვადასხვა საფეხურზე.

სწავლის შედეგები: დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) კომპეტენციები

სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული იღებს შემდეგ აკადემიურ ხარისხს: ფილოლოგიის მაგისტრი (ლინგვისტიკა); მას შეუძლია დამოუკიდებლად აწარმოოს სამეცნიერო კვლევები როგორც ზოგადი, ასევე კერძო ენათმეცნიერების სხვადასხვა სფეროში, შეუძლია ასწავლოს სხვადასხვა საენათმეცნიერო დისციპლინა სწავლების შესაბამის საფეხურებზე.

ცოდნა და გაცნობიერება:

შეუძლია პრობლემის დასმა, კვლევის მიზნის ფორმულირება და გადაჭრის გზების აღწერა ავლენს მიღებულ სპეციალიზაციაში შესაბამისი პროფესიული დონის დემოსტრირების უნარს, შეუძლია კვლევის ახალი, ალტერნატიული გზების და სტრატეგიის გამოკვლევა. მაგისტრი ფლობს ღრმა და სისტემურ ცოდნას ენათმეცნიერების უმთავრესი პრობლემების და საკუთარი კვლევითი პრობლემატიკის ირგვლივ, იცნობს სხვადასხვა თეორიულ მიდგომებს და მათი კრიტიკული გააზრების საფუძველზე აყალიბებს საკუთარ მოსაზრებებს ახალი იდეის სახით.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

იძიებს შესაბამის წყაროებს, ლიტერატურას და ადგენს მათ მნიშვნელობას დასმული პრობლემის გადასაჭრელად. განსაზღვრავს კვლევის მეთოდებს და თავისებურად ახალი არგუმენტირებული ცოდნის მიღების გზებს. პროფესიონალურად ასკვნის ლინგვისტური ფაქტების იდენტიფიცირება-კლასიფიცირებას და განსაზღვრავს კვლევის პრიორიტეტულ მიმართულებებს. კურსდამთავრებული კარგად ორიენტირებს და პროფესიონალურ დონეზე ერკვევა გაუთვალისწინებელ, (წინასწარ დაუგეგმავ) მულტიდისციპლინარულ გარემოში და კვლევას დამოუკიდებლად წარმართავს.

დასკვნის უნარი:

ახდენს პრობლემის განზოგადებას და გამოაქვს ლოგიკური დასკვნები. ხედავს სხვა მკვლევართა მიღწეულ შედეგებს, აფასებს მათ სათანადოდ და ნათლად აყალიბებს განსხვავებულ შეხედულებებს.

ახდენს უახლესი კვლევების კრიტიკულ გაანალიზებას და იძლევა არგუმენტირებულ დასკვნებს, შემოქმედებითად უდგება და ახდენს მოპოვებული ინფორმაციის ინოვაციურ სინთეზს.

კომუნიკაციის უნარი:

ავლენს პროფესიული კამათის, მოსმენის, განსხვავებული აზრის პატივისცემის და საკუთარის დასაბუთების მეცნიერულ დონეს.

შეუძლია საკუთარი დასკვნების, არგუმენტაციისა და მეთოდოლოგიური პრობლემების კომუნიკაცია აკადემიურ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ ენაზე, იცნობს და იცავს აკადემიური პატიოსნების სტანდარტებს, იყენებს თანამედროვე საკომუნიკაციო-ტექნოლოგიურ საშუალებებს.

სწავლის უნარი:

აქტიურად მონაწილეობს, როგორც საკუთარი ასევე სხვათა სწავლებასა და სწავლის თანამედროვე მიდგომების დანერგვაში. აღრმავებს და აფართოებს შემდგომი სწავლისათვის საჭირო უკვე ათვისებულ სამეცნიერო-მეთოდოლოგიურ ბაზას. დამოუკიდებლად წარმართავს საკუთარ სწავლას, სრულად აცნობიერებს ამ პროცესის თავისებურებებს და შეუძლია სტრატეგიულად და მაღალ დონეზე დაგეგმოს შემდგომი სწავლის საჭიროება და გზები.

ღირებულებები:

იცავს თავის პროფესიულ საქმიანობაში და სხვებთან დამოკიდებულებაში მეცნიერული ობიექტურობის პრინციპებს და სწავლა-სწავლების პროცესში ხელს უწყობს მათ განვითარებას. კრიტიკულად აფასებს საკუთარ და კოლეგების შესაძლებლობებს ეთიკის ნორმების დაცვით.

ლინგვისტიკის მაგისტრი გამორჩეულად იცნობს და აფასებს კვლევის დასავლურ ღირებულებებს. (აქ უნდა იყოს კომპეტენციების ცხრილი)

სწავლის/სწავლების შედეგების მიღწევის მეთოდები:

ლექცია, პრეზენტაცია, ახალი სპეციალური ლიტერატურის განხილვა, სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა.

ახსნა-განმარტებითი მეთოდი – მსჯელობა მოცემული საკითხის ირგვლივ და დაწვრილებით განხილვა მოცემული თემის ფარგლებში.

ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი:

სალექციო მასალის ვიზუალური პრეზენტაცია და ვერბალური განმარტება, დისკუსია;

წიგნზე მუშაობის მეთოდი:

დამოუკიდებელი სამუშაოს შესასრულებლად დავალების მიცემა წიგნზე მუშაობის სახით;

წერიტი მუშაობის მეთოდი:

ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის ან ესსეს შესრულება;

დისკუსია/დებატები – დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

დასაქმების სფეროები:

ლინგვისტიკის მაგისტრს შეეძლება იმსახუროს სასწავლო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ბიბლიოთეკებში, მუზეუმებში, არქივებში, რედაქციებში, გამომცემლობებში, ტელევიზიებსა და რადიოში, კერძო სექტორში, ტურისტულ სფეროში, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ა. შ.

გარდა ამისა მაგისტრის ხარისხის მფლობელს შესაძლებლობა ექნება, სურვილის შემთხვევაში, სწავლა გააგრძელოს უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე-დოქტორანტურაში.

		დარგობრივი კომპეტენციები		ზოგადი კომპეტენციები			
		ცოდნა, გაცნობ.	ცოდნის პრაქტ. გამ.	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
საგნები	ენათმეცნიერების აქტუალური პრობლემები -1	+	+		+	+	
	ენათმეცნიერების აქტუალური პრობლემები -2	+	+		+	+	
	ენათმეცნიერების აქტუალური პრობლემები -3	+	+		+	+	
	კომუნიკაციური ლინგვისტიკა -1	+	+	+	+		
	კომუნიკაციური ლინგვისტიკა -2	+	+	+	+		
	სპეცემინარი არეალურ ლინგვისტიკაში	+	+	+		+	
	ენა და გენდერი	+	+		+		
	ტექსტის ლინგვისტიკა	+		+		+	
	სოციოლინგვისტიკა -1		+		+	+	
	სოციოლინგვისტიკა -2		+		+	+	
	სპეცკურსი ფონოლოგიაში	+	+	+			
	უცხო ენა -1 (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, თურქული, რუსული)	+	+			+	
	უცხო ენა -2 (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, თურქული, რუსული)	+	+			+	
	სემანტიკა	+	+				+
	სპეცემინარი ენათმეცნიერების ისტორიაში	+	+		+	+	
არჩევითი საგნები							

ენის ფილოსოფია	+	+				
სპეცურსი ზოგად ენათმეცნიერებაში	+	+		+		
ენობრივი პოლიტიკა	+	+	+	+		
ეკოლინგვისტიკა	+	+	+	+		

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანებებით განსაზღვრული შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება მე-6 პუნქტის “ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

2. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:

ა) შუალედურ შეფასებას;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

3. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

4. დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით.

5. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, თუ მას შუალედურ შეფასებებზე მინიმუმ 11 ქულა აქვს.

კურსი ათვისებულად ითვლება, თუ სტუდენტის საბოლოო შეფასება მეტია 51- ზე

6. შეფასების სისტემით დასაშვებია:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა. ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

7. მე-6 პუნქტით გათავისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.

8. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა.

სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება კონკრეტული საგნის შესაბამისი სილაბუსით.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ: საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება ხდება აწსუ მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალის მეშვეობით სასწავლო კურსების პროფილის შესაბამისად. მატერიალურ ბაზას წარმოადგენს უნივერსიტეტის სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, სამკითხველო დარბაზი, კომპიუტერული ცენტრი.

სასწავლო გეგმა

	დისციპლინის დასახელება	სააუდიტორიო საათები								სააუდიტორიო საათების განაწილება კურსებისა და სემესტრების მიხედვით				
		კრედიტი	ლექცია	პრაქტიკული	სამუშაო დამოუკიდებლობა	კრედიტების რაოდენობა								
						I სემ.	II სემ.	III სემ.	IV სემ.	I	II	III	IV	
პროგრამისთვის სავალდებულო კურსები														
HGM0200	ენათმეცნიერების აქტუალური პრობლემები -1	5	12	24	89	5				3				
HGM0210	ენათმეცნიერების აქტუალური პრობლემები -2	5	15	30	80		5				3			
HGM0220	ენათმეცნიერების აქტუალური პრობლემები -3	5	15	30	80			5				3		
HGM0230	კომუნიკაციური ლინგვისტიკა - 1	5	12	24	89	5				3				
HGM0400	კომუნიკაციური ლინგვისტიკა - 2	5	15	30	80		5				3			
HGM0410	სპეცემინარი არეალურ ლინგვისტიკაში	5	12	24	89	5				3				
HGM0250	ტექსტის ლინგვისტიკა	5	15	30	80			5				3		
HGM0260	სოციოლინგვისტიკა -1	5	12	24	89	5				3				
HGM0270	სოციოლინგვისტიკა -2	5	15	30	80		5				3			
HGM0280	სპეცურსი ფონოლოგიაში	5	15	30	80		5				3			

HSM0930	უცხო ენა -1 (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, თურქული, რუსული)	5	--	36	89	5				3			
HSM0940	უცხო ენა -2 (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, თურქული, რუსული)	5	--	45	80		5				3		
HGM0300	სემანტიკა	5	15	30	80			5				3	
HGM0420	სპეცემინარი ენათმეცნიერების ისტორიაში	5	15	30	80		5				3		
HGM0431	ენა და გენდერი	5	15	30	80			5					
HGM0320	საკურსო შრომა	5						5					
HGM0330	სამაგისტრო შრომა	30							30				
	არჩევითი დისციპლინები - I	5	12	24	89	5				3			
HGM0421	ენის ფილოსოფია												
HGM0361	სპეცკურსი ზოგად ენათმეცნიერებაში												
	არჩევითი დისციპლინები - II	5	15	30	80			5					
HLM0701	ენობრივი პოლიტიკა												
HLM0711	ეკოლინგვისტიკა												
	სულ	120				30	30	30	30				